საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030633614491421

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/3722 **23 / სექტემბერი / 2021 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2021 წლის 21 სექტემბერს გადმოგზავნილი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ „კურორტ წყალტუბოს სანიტარიული დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ“ კორექტირებული კორესპოდენცია.
აღნიშნულ საკითხზე, ცენტრის მიერ გაცემული შენიშვნების შემდეგ, გაიმართა შეხვედრა პროექტის ავტორებთან შენიშვნების შეჯერების მიზნით. გაზიარებული იქნა რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი, შესაბამისად, ამ ეტაპისთვის ცენტრი ეთანხმება განახლებულ ვერსიას იმ დათქმით, რომ კურორტ წყალტუბოს აღდგენისა და განახლების პროცესში სამუშაოები წარიმართება იმგვარად, რომ მკაცრად იქნება დაცული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაექვემდებარება საქართველოს კანონის ‘’გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი’’-ს მოთხოვნებს და განსაკუთრებით პირველი მკაცრი რეჟიმის ზონაში მოხდება ბალნეოზონის დაცვა, გამწვანება და მოვლა, სადაც ყველაზე მეტად არის განლაგებული მინერალური წყლის გამოსასვლელები (1მ-ის სიღრმიდან) და ნებისმიერი ქმედება ამ ტერიტორიაზე აზიანებს მინერალური წყლის საბადოს. საბადოს სანიტარიული დაცვის პირველი ზონის საზღვრები უნდა დაემთხვეს ბალნეოზონის ტერიტორიის საზღვრებს, კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება არსებული შენობების გატანა ან აღარ მოხდება ახალი შენობების აშენება, რაც აზიანებს მინერალური წყლის საბადოს.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპვასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე